პარასკევი, 1917 წ. გიორგობისთვის 10 (23) № 249

ფელიეტონი მესამე

საქართველო

რედაქცია

ხელგაზეთი მახალდა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა ადნიშნული იყოს ავტორის გვარობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია დიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლეგამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიდებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **ხამგლოგიარო განცხადება** თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. **მისამართის** გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი **ფული** და **წერილები**, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. **სარჩელი** განცხადებანი უნდა ბოლანილ იქმნას ორი ოგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. **კონტორა** დიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

გაზეთის შინაარსი

ხნოგეგიდან

ხმებია, ვითომც გერმანეთსა და ბოლშევიკების შორის სეპარატიულ ზავზე მოლაპარაკება დაწყებულიყოს.—გატჩინოსა და ცარსკოე სელოში მომხდარ ბრძოლას გალიციის ბრძოლას უდარებენ.—მიხეილ ალექსანდრეს ძე რომანოვი კერენსკის ჯარში ყოფილა.—ნეიტრალურ ჯარებს კერენსკისაგან დემოკრატიულ პლატფორმაზე შეთანხმება მოუთხოვნიათ.—საერთო-სალაშქრო კომიტეტს მინისტრ-თავმჯდომარის კანდიდატად ჩერნოვი დაუსახელებია.—ირ. წერეთელი პეტროგრადშია.—კავკასიის ფრონტზე სიმშილი ჩამოვარდნილა.

ბორჩალოს მაზრის 15 სოფელი პროტესტს აცხადებს გადამიჯვნაზე.

წერილებიდან

მეთაური. ბოლშევიკების გასაჭირი.
რ. ინგილო. საქართველოს ეკლესიის მტრები (დ. აბაშიძის ჩაენების გამო).
დ. ძასრაძე. ბლეხანოვი.
რუსული პრესა. ბოლშევიკების შესახებ.

ერეკლე ლუკაშვილი. ლეო ტოლსტოი (მოგონება).
კორესპონდენცია. გურიიდან, ახალციხიდან.

დამფუძნებელი კრების საარჩევნო „ნაკაზი“.

სასოფლო მილიციის დებულება.

გულდათუთქულნი მამა რომანოზ, დედი სოფო და ლუბა, ძმები ლუკა და სამუელ ახობაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ორმოცი დღის წირვის და პანაშვიდი, პირველის უსაყვარლესი შვილისა და დანარჩენის დისა, ქუთაისის მგშვიდე საქალებო გიმნაზიის მოწაფისა

ლიდა ახობაძისა

დანიშნულია შაბათს, 11 გიორგობისთვის, დღით, სამ საათზე ქ. სამტრედიაში, იოანე ნათლის მცემლის ეკლესიაში.

2—872—2

ამიერ კავკასიის ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ აქციონერთა არაჩვეულებრივი

საზოგადო კრება

დანიშნულია კვირას, 10 ქრისტეშობისთვის, შუადღის 12 საათზედ ბანკის ბინაზედ (თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 5—26) შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. ძირითადი თანხის გადიდება
და 2. ბანკის განყოფილებათა გახსნა.

სახელდებული აქციების პატრონთ საზოგადო კრებაზედ უფლება აქვთ ხმისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეტანილი არიან ბანკის წიგნებში შვიდი დღით წინ კრებამდე (წესდ. § 58).

აქციონერს, რომელსაც ხმის უფლება აქვს და ვერ დაესწრება კრებას, შეუძლიან თავისი უფლება გადასცეს ვექილობით სხვას, ხოლოდ ისევ ხმაუფლებიანს; ერთსა და იმავე აქციონერს არ შეუძლიან იქონიოს ორ ვექილობაზე მეტი და არავითარ შემთხვევაში ერთი მეათედ მეტი ($^1/_{10}$) იმ ხმებისა, რამდენიც ეკუთვნიან კრებაზედ დამსწრე აქციონერთ.

2—834—2

თბილ. გუბერნ. ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგად.

გამგე კომიტეტი

აცხადებს, რომ 17 ამა გიორგობისთვის, საღამოს შვიდ საათზედ, ქართულ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია საზოგადოების

საგანგებო კრება

განსახილველველია საკითხი საზოგადოების წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლის შესახებ.

(3—876—1)

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

მამულიშვილნო!

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიზანია თავისუფალი საქართველოს აღდგენა... მთელი ამერეთი და იმერეთი უნდა გაერთიანდეს და დაამყაროს ის ეროვნული თვითმართველობა, რომლის უფლებანი საქართველოს ეკუთვნის 1783 წელს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებით.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ არის სოციალისტური პარტია, იგი მოითხოვს ყველა კლასთა შეთანხმებას და თანამშრომლობას, რათა ქართველმა ერმა გაერთიანებული ძალებით დაიცვას თავისი თავი და მიიღწიოს თავისუფლებას.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იცავს კერძო მესაკუთრეს უფლებას როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ვინაიდან მხოლოდ კერძო საკუთრების, კერძო თანასწორობის და კერძო შემოქმედების განმტკიცებით შეიძლება ქართველი ერის გამდიდრება, განათლება და გამრავლება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს თანასწორობას ქართული რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისას ,განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს რათა საქართველოს ავტონომიურმა მთავრობამ გამოიყენოს იძულებით დიდი მამულები და გადასცეს იგი უმამულო მიწის მუშას, გლეხს სრულ საკუთრებად, იმ წესით, რა წესსაც საქართველოს ეროვნული დამფუძნებელი კრება დადგენს...

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს ქართულ მეურნეობის, ვაჭრობა-მრეწველობის და ალებ-მიცემობის ზრდა-განვითარებას.

მამულიშვილნო!

ვისაც გწამთ რომ მთლიანი თავისუფალი საქართველო კერძო მესაკუთრეს თავისუფალ შრომაზე უნდა იყოს აშენებული,

მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას № 8-ს.

მესაკუთრენო!

გახსოვდეთ, არც ერთი ხმა სოციალისტებს!

მხოლოდ ეროვნულ - დემოკრატიული პარტია დაიცავს თქვენს ინტერესებს, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე.

მიეცით ხმა საარჩევნო სიას № 8

1. **კედია** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ბეჟანიძე** სულეიმან ბეგი—მეურნე (აჭარიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ჟურული** გიორგი დურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გოგრდეზიანი** გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი.
10. **ივანიცკი** (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო სემინარიისა.
12. **ნიუარაძე** რეჟებ ბეგი—მეურნე.
13. **თოგრაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

თბილისი,
ბიოკრბოგისთვის 10.

ბოლშევიკების განაჯირი

გარდაუვალს წინააღმდეგობასთან უხდება ბრძოლა ბოლშევიკების მთავრობას. ხალხის მემარცხენე ნაწილში ანარქიული მიდრეკილება ძლიერდება, მემარჯვენე ნაწილში კიდევ რეაქციური სულიერი განწყობილება. ბაზარი თითქმის სრულიად ცალიერდება, რაც დრო მიდის მით უფრო ძნელი ხდება სურსათის შოვნა ფრონტისა და ქედის დასაკმაყოფილებლად. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ჯარში აღგადადგა ნამდვილი შიმშილი დაიწყო. ამას ზედ ერთვის ახალი მთავრობის ნებსითი თუ უნებლიე ბოიკოტი პოლიტიკური პარტიების მიერ: არა მარტო სოციალისტ-რევოლუციონერები და მენშევიკები, თვით მემარჯვენე ბოლშევიკებიც კი გაურბიან ლენინსა, ტროცკისა და ჯუდაშვილთან ტერორისტულ მუშაობას.

არსია განსაკუთრებულად მწვავედ განიცდის შიმშილისა და არეულობის გავლენას, ამიტომ გასაკვირალი არ არის, რომ სტუდენტ ადრე არმიის წარმომადგენლები თაოსნობენ გამოსავალი გზების ძიებას. მთავარმა საარმიო კომიტეტმა საგანგებო მოწოდება გამოაქვეყნა. კომიტეტი ყველა დემოკრატიულ და სოციალისტურ ორგანიზაციებს წინადადებას აძლევს, მას შიანდონ ახალი მთავრობის შედგენა. კომიტეტის პროგექტით მინისტრ-პრეზიდენტის პორთფელი სოციალისტ-რევოლუციონერების მეოთხეს ვ. ჩერნოვს უნდა ჩაბარდეს. სამინისტრო მთლიანი უნდა იყოს და ყველა სოციალისტური ფრაქციების წარმომადგენლებს უნდა შეიცავდეს ბოლშევიკებიდან დაწყებული სახალხო სოციალისტებამდე. მომავალი სამინისტროს პროგრამა შემდეგი მთავარი მუხლებისგან უნდა შესდგებოდეს: პოლიტიკური ტერორის გაუქმება და საზოგადოებრივ უფლებების აღდგენა; დამფუძნებელი კრების მოწვევა რაც შეიძლება ჩქარა და რაც შეიძლება ნორმალურ პირობებში; მიწის გადაცემა საადგილმამულო კომიტეტების ხელში; დაუყოვნებლივ საზავო მოლაპარაკების დაწყება.

დამახასიათებელია რომ ეს პროგრამა თითქმის საკუთრებით ბოლშევიკური, მხოლოდ პოლიტიკური ტერორის უარყოფას შეიცავს. ლენინსა და ტროცკის კი ტერორი, როგორც სჩანს, რევოლუციური ბრძოლის აუცილებელ საშუალებად მიაჩნიათ. ამას გარდა ისინი ჰფიქრობენ, რომ პრესის თავისუფლება და პიროვნების ხელუხლებლობა წვრილ-ბურჟუაზიული ცნობებია, სოციალისტურ პროლეტარიატს არ შეეფერის ასეთი ფეტიშების წინაშე მუხლის მოხრა. ამ რწმენის მიხედვით ლენინის მთავრობამ პეტროგრადსა და მოსკოვში ყველა ბურჟუაზიული და ზომიერი სოციალისტური გაზეთები დაჰხურა, ხოლო ზოგიერთი პოლიტიკური მოდვაწე კანონის გარეშე გამოაცხადა.

მაგრამ ლენინი და ტროცკი არა მარტო შეგნებული ტერორისტები, არამედ დიქტატურის მაძიებელი ადამიანებიც არიან. შეიძლება ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამძაფროს შეთანხმება. როგორც უკანასკნელმა თვეებმა ნათლად დაამტკიცეს, შეთანხმებისთვის ქალაქდებზე დაწერილი თეორეტიული პროგრამა როდი კმარა. საჭიროა დათმობის სურვილიც პრაქტიკული საკითხების გადაჭრის დროს. ეს სურვილი კი არ შეიძლება ჰქონდეს იაკობინური თვითმპყრობელობის იდეით გამსჭვალულ ადამიანებს.

საქართველოს ეკლესიის მტრები

(დიმიტრი აბაშიძის ჩვენების გამო).

რევოლუცია ისეთი სისწრაფით დაატყდა თავს თვითმპყრობელობას და ყველა მის მამოძრავებელ ორგანოებს, რომ ვერც-კი მოასწრეს მიემალათ, ან მოეპოთ ურიცხვი საიდუმლო დოკუმენტები და საბუთები. სხვა და სხვა არქივების და ისტორიულ მასალების ხელში ჩაგდებით ხალხი დღეს ეცნობა იმ შესაზარ მოვლენას, რომელსაც უწოდებდენ ბიუროკრატიის „ზასტენოკს“.

ერთი ამგვარი დოკუმენტი შეეხება ექსარხოსს ნიკონის მკვლელობას. ამ მრავალტომიან საქმეს ყურადღება მიაქცია „პეტროგრადსკია ვედომოსტებმა“: ამ გაზეთის მე 121 ნომერში მოთავსებულია ის ჩვენება, რომელიც მთავარეპისკოპოსმა დიმიტრი აბაშიძეს მისცა საგანგებო საქმეთა გამომძიებელს.

ქართველ საზოგადოებას, თავისთავად ცხადია, ფიქრათაც არ მოუვიდოდა, რომ დიმიტრი აბაშიძეს საქართველოსათვის საკეთილო აზრები გამოეთქვა მსაჯულის წინაშე; მისი მძულვარება და ზიზღი სამშობლოსადმი დამტკიცებას არასოდეს მოითხოვდა, მაგრამ ის რაც მან წარმოსთქვა ექსარხოს ნიკონის მკვლელობის შესახებ ალემატება ყოველსავე წარმოდგენას ამ ადამიანზე.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ჭკვათა-მყოფმა წარმოსთქვას ის, რაც მთავარეპისკოპოსმა დიმიტრიმ განუცხადა სასამართლოს წარმომადგენელს. რუსეთში არსებობს ერთი საკმაოდ გავრცელებული მწვალებლობა, რომელსაც ხალხში „პრიგუნობას“ უწოდებენ; რელიგიურ რიტუალის შესრულების დროს „პრიგუნები“ სხეულს არაჩვეულებრივად ამოძრავებენ: ტკიან, ოთახის გარშემო ტრიალებენ და საგალობელს დრიალით გამოსთქვამენ; ამ მდგომარეობაში დიდ ხანს ეოფნა მათ აგდებს ერთგვარ ეფექტაციაში და მაშინ წამოროშავენ უთავბოლო სიტყვებს. დიმიტრი აბაშიძის ჩვენება სატანტო ქალაქის გაზეთში წვრილი ასოებით სამ სვეტზე მოთავსებული, ჩემის აზრით ზემოადნიშნულ კათეგორიას ეკუთვნის, რადგანაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანმა რომლის გონებრივი ცენტრი ნორმაზე მუშაობდეს, წარმოსთქვას ამგვარი საშინელება!

ნუ მოელოდებით დიმიტრი მთავარეპისკოპოსის ჩვენებაში კონკრეტულ აზრებს მკვლელობის შესახებ, ნურც გგონიათ, რომ იგი ასახელებდეს პიროვნებას ან ჯგუფს, რომელზედაც ექვი ეპარებოდეს: მან განუცხადა გამომძიებელს, რომ მკვლელობის შესახებ არაფერი იცის, რადგანაც მან ეს ამბავი მხოლოდ დეპეშით შეიტყო; ნორმალად მოახროვნე ადამიანი აქ წყვეტილს დასვამდა და დაამთავრებდა საუბარს, მაგრამ დიმიტრი აბაშიძის აშლილი გონება მოითხოვდა ეთქვა ყველა ის, რაც ავადმყოფის გალიუცინაციას ჭეშმარიტებად მიაჩნია. მთელი საქართველო დამნაშავეა ნიკონის მკვლელობაში, ლადადებს ეპისკოპოზი, ყველა ქართული პოლიტიკური პარტიები წარმოადგენს ერთეულს, რომელიც ცდილობს მხოლოდ იმას, რომ ავნოს რუსეთს; მათი მიზანი ერთია—გამოგყოს რუსეთს და დაარღვიოს სახელმწიფოს მთლიანობა! ქართველობა სისხლსა სწოვს რუსეთს და პარაზიტად ეკვლინება მას... თქვენ იცით ვინ არიან ავტოკეფალისტები? ეკითხება დ. აბაშიძე მსაჯულს. საკმარისია ორი ეპისკოპოზი, რამდენიმე არქიმანდრიტი და ათიოდე ზღვდელი გადაასახლონ სოლოვეცის უდაბნოში და მეისვე მოისპობა ავტოკეფალიის საკითხი! მაგრამ გაფთრებულ ბრალმდებელმა მუხრუჭი ვერ მოსდო ამდენრეულ გონებას და განაგრძო ამნეულ აზრების ტრიალი: ერთსა და იმავე ჩვენებაში იგი ამბობს, რომ ავტოკეფალიას ემხრობა ათიოდე კაცი და იქვე დასძენს, რომ არსებითად საქართველოში, ყველანი ავტონომისტები და ავტოკეფალისტები არიანო, და, horribile dictu, თვით სოციალისტებიც ავტოკეფალიას ემხრობიანო. განა ფსიხიატრიული ტიპი არ არის ადამიანი, რომელიც განაცხადებს ოქმში შესატანად, რომ ნიკონი მოჰკლეს საქართველოს ყველა პარტიების წევრებმა, რომ შეაშინონ რუსები და ისარგებლონ მათი ყბა-ღიობით უფრო მეტის—ავტონომიის—მოსაპოვებლად...

მკითხველს ადარ შეგაწუხებთ „გალანთლებულ“ ეპისკოპოზის ჩვენებიდან ციტატების ამოკრეფით: მათი შინაარსი და დირებულება ერთგვარია და უფრო შეადგენს ფსიხიატრიულ ექსპერტიზის საგანს, ვიდრე პოლიტიკურად განსახილველ მასალას.

ამ დოკუმენტის აღმოჩენას ჩვენ სხვა მნიშვნელობას ვაძლევთ. უეჭველია იგი უკანასკნელ წლებში შედგენდა აუცილებელ სახელმძღვანელოს, რომლის მიხედვით სინოდი აწარმოებდა დაუნდობელ ბრძოლას საქართველოს ეკლესიასთან. სინოდის ხელმძღვანელებს დიმიტრი აბაშიძესთან ერთად, ალბად, გულუბრყვილოთ მიაჩნდათ, რომ ავტოკეფალურ მოძრაობას საქართველოში ნიადაგი არ მოეპოვებოდა და მის ჩასაქრობლად საკმარისია ორიოდე ურჩი მდდლის დასჯა-გადასახლება. 12 მარტის აქტმა და შემდგომ მოვლენათა წყებამ ქვეყანა დაარწმუნა წინააღმდეგში, რომ ძველი სამოციქულო ეკლესიის განთავისუფლება მთელი ქართველი ხალხის სურვილი და ნების-ყოფის შედეგია და ამას ანგარიშს გაუწევენ ისინი, ვინც დღესაც დაუძინებელ მტრად ეგლინება ჩვენს განახლებულ ეკლესიას.

რ. ინგილო.

კლეხანოვი

(ძველი შთაბეჭდილებიდან)

არიან ადამიანები, რომელთაც სიცილი არ ეხერხებათ. სისხლ გამშრალთ, დოქტრინერობით გრძნობა გამოფიტულთ კალვინისავით ჯერ არ ეგეცინებათ, მაგრამ თუ დეგრეი გაწყრა და გეიცინეს, უმალ ისეთს შეტყველებას მიიღებენ, თითქოს ენანებათ, რატომ გაგეცინაო.

ასეთს ტიპს არ ეკუთვნის პლეხანოვი. პირ იქით, მისთვის თითქოს ყოველთვის ვალენტინობაა, ჯანსაღ სიცილის დაუსრულებელი ფეიერვერი.

საკმაოდ სრული, საშუალოზე მეტად ახოვანი, ნათელი სახე, ჯიდა წარბებ ქვეშ წელთა დაზიდულობით მიმქრალი, მაგრამ მაინც ცოცხლად შმოძრავი თვალები მუდამ თავაზ დიმილის მანდილით არის შემოსილი, ბეჯით, ნათელი დიმილით.

არის რაღაც შორეული ნათესაობა მის დიმილისა და ილიასეულს ძღვენამოსილ დიმილში, რომელიც მოწინააღმდეგეს მარტო წარბის ათამაშებით თუ ულვაშის ერთ ბეწვის აგუშვებით უსიტყვოდ გაგაგებინებდა, მყის ამარცხებდა: პლეხანოვის დიდი ფარხმალიც, განსაკუთრებით პოლემიკის დროს, სწორედ ეს დიმილია, ხშირად ციური, მაგრამ მოშხამული ისრების მოიარაღი.

მისი ხმა არაა შძლავრი, როგორც შეგეძლოთ წარმოგედგინათ შორს მყოფს, ჯერ მის არ მნახველს. არც ვეღური დემოსთენი და არც არისტოკრატი ციცერო არ აღგიდგებათ მის სახეში. თანამედროვე ორატორთა შორის ვერც ბებელს, მით უმეტეს, ვერც ჟორეს ვერ მოსტაცებდა მეზნებარე ცეცხლს. თვით ჰაეზე და ვანდერველდეც აღემატებიან როგორც ცეცხლით, ტემპერამენტით, ისე არტისტიული თავდაჭერით.

მას არც თუ კლემანსოს ფოლადისებური მოკვეთილი სიტყვები აქვს. რუხი მეტყველი, იგი ტკბილი მოუბარია, მახვილი, ულრიხ ფონგუტენის შხამით შეზავებული იუმორით.

„ენენვის შამალს“ არა აქვს მამლისებური ძლიერი ხმა. შეიძლება ახალგაზრდობისას, მართალია, მამლობდა, დღეს-კი რადაც ზიანს ჰხედავთ გატეხილ, ჭაკვე სეტყვისგან გაზარულ ზარის ხმას.

თუ არა იუმორის სუბუქი ფარხმალი, პლეხანოვი მუდამ დამარცხებული იქნებოდა. თუ აუდიტორია ქარიშხლისებურ აპლოდისმენტებით ამკობს თვითეულს მის სიტყვას, მხოლოდ ამ იუმორის წყალობით. შეგნებულთა შორის იგი ისეთს ატმოსფერას ჰქმნის, რომ შეუძლებელია მოისაზრონოთ თუნდა ისეთ ღირსებულ მოფარიკეს ძლიერი და მეცნიერულად გაძლიერებული სიტყვა, როგორიც ბოგდანოვისა. ალბად ესაა მიზეზი, რომ ლენინდელ რუსეთის ტრადედიაში ვერც ერთ ტრაგიკულ პერსონაჟის როლს ვერ ასრულებს: ყოველთვის იუმორით ვერ გადაგზნავთ პოლიტიკურ კლდოვან ნიადაგს.

მცირე ნიშანი:

ერთ მხრით ბოგდანოვი და ლუნაჩარსკი, მეორე მხრით პლეხანოვი, მარტოვი, დეიჩ[illegible]და რეზოლუციების მექარხნე—დანი. კამათია ისტორიულ მატერიალიზმზე. პლეხანოვს ჰსწორს დაუმტკიცოს ბოგდანოვს, რომ სცდება იგი. აუდიტორიაში სიცილს იწვევს ის გარემოება, რომ ბოგდანოვი მოსწყდა ბეღნიერებას და პროლეტარობის ტიტული „ამხანაგო“ ვერარ მიიღო. „თქვენობა—და ოფიციალობა იჭერს ჩვეულებრივ თავაზას ადგილს. „ბატონ ბოგდანოვს ჰგონია, რომ იგი მატერიალისტია, სოც.-დემოკრატი... ვერ ამჩნევს, რომ ერნესტ მახის აყოლებამ მახიზმში გაჰყვია იგი. ეს იგივეა, რაც მოუვიდა ერთს მღვდელს დიდ მარხვაში, რომელსაც ეახსნიდოს ჭამა მოუნდა, შეაწყვეინა ინდოური, შემდეგ აკურთხა, ნაილობის წესი შეასრულა და სთქვა: გერქვას ამიერიდან თევზი და არა ინდოური, რის შემდეგაც სინდის დამშეიდებულმა ეგმრიელად შიირთვა სასხნილო...

საზოგადოებაში ტაში და სიცილია. იმარჯვებს დემაგოგობა... იმარჯვებს პლეხანოვი. მარცხდება მეცნიერება... მარცხდება ბოგდანოვი. ლუნაჩარსკი დემონსტრატიულად ჰხტის, ბოლოს გარბის...

მაგრამ ყველა ეს პლეხანოვს არ უშლის, რომ დარჩეს პლეხანოვად, არისტოკრატად. ხანგრძლივ ემიგრანტობას მასზე საგრძნობელი დალი არ დაუჩნევია. დღესაც მას თეთრ ხელთათმანით და ლანდოთი სიარული უფრო შეეფერის, ვიდრე მეკვარტლიან ქარხნებში სიტყვების ფრქვევა.

სხვაფერივ პლეხანოვი ჩვეულებრივი რუსი ინტელიგენტია. ტყუილად იცვამს ევროპიულ სერთუკს თუ ფრაკსა, სულ ერთია, ზომაზე ვერ დადგება, ან კალთები ეკნება გრძელი, ან და სახლები, რის ქვეშაც გამოჩნდება რუსული კალეტანი ან და ჩექმა...

ომმა და რევოლუციამ ყველაზე მეტრმეტყველურად დაამტკიცა ეს დებულება: პლეხანოვი რუსეთს მთლად რუსულ სამოსით დაუბრუნდა: მისი მშვენიერი ევროპიული სერთუკი, რასაც „ინტერნაციონალობა“ ერქვა, ეკნეკის ხაზდერებს იქით დარჩა...

დ. კასრაძე.

ქართული პრესა

დამფუძნებელ კრებისათვის.

ქუთათურ გაზ. „ჩვენ ქვეყანა“-ში ტრიფონ ჯაფარიძე ადენიშნავს, რომ რუსეთის ყველა ერები დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის ეროვნულ დროშის ქვეშ დაირაზმნენ და შეადგენ ხალხს უსვამს, რომ

ამ მხრივ სამწუხარო გამონაკლისს შეგვადგენთ ჩვენ, ქართველები.

აქ მთელი ერი პარტიებათ დაყოფილა და ყოველი ჯგუფი თავისი მიმართულების გასავრცელებლად და გასამაგ რებლად ზრუნავს.

სამი მილიონი ქართველი ოთხი—ხუთი მიმართულების წარმომადგენლებს არჩევს- პარტიული განსხვავება ჩვენში არის და შესაძლებელია აწიც დარჩეს, მაგრამ ერთიანული საკითხის დასმაში პარტიული მიდრეკილება სწორეთ შეუწყნარებელია. რაკი ეს სენი თავიდანვე ავიცილეთ, ავტორის აზრით საქმის გამოსასწორებლად ერთი საშუალება კიდევ მოგვეპოვება, სახელდობრ:

არჩეული წარმომადგენლები შეერთდენ და ეროვნული პროგრამა საგრთო ძალლონით დაიცვან.

პირველი საკითხი, რომელიც დამფუძნებელ კრებამ უნდა გადასწყვეტოს, არის ეროვნული საკითხი, ვინაიდან ეროვნული საკითხის გადაჭრა რუსეთს დადუპვისაგან იხსნისო.

ამისთვის საჭიროა, რომ ყოველმა ერმა დამფუძნებელ კრებას წარუდგინოს **ერთი საფუძვლიანი პროგრამა, ეროვნულ თვითგამორკვევის ნიადაგზე აშენებული.** პროგრამის შინაარსი და კილო მისი წარმოთქმისა და დასაბუთების ცხადათ უნდა უკარნახებდეს მსმენელთ ასრულების აუცილებლობას. ასეთი პროგრამის წარდგენა გვმართებს ყველას და მათ შორის ჩვენც, რადგან ჩვენ სხვაზე მეტი თუ გვაქვს სათქმელი, თორემ ნაკლები არა.

სად დაიწეროს ასეთი პროგრამა?

უსათუოდ ეროვნული საბჭოს სხდომაზე. ეროვნული საბჭო, რომელიც ფეშველათ წინასწარ უნდა გაიმართოს თბილისში შეადგენს პროგრამას და ტეხნიკურ გეგმასაც დასახავს.

ავტორს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია.

პლატფორმა ეროვნულმა საბჭომ დახახოს და ეროვნული პროგრამაც იმ საბჭომ ჩაბაროს. ამ პირობის დარღვევა და ჩვენი პოლიტიკური სიკვდილი ერთი იქნება.

რუსეთის პრესა

ბოლშევიკების დიქტატურის შესახებ

„ნოვაია ჟიზნი“ სწერს. რაც დრო მიდის, რაც მეტი სისხლი იღვრება, მით უმეტეს აშკარა ჰხდება, რომ იმედი შეთანხმებაზე ნაადრევია.

„ვოლია ნაროდას“ დაეიწყდა, რომ ახლა საქმე მიდგა არა რომელიმე პარტიის დამარცხებაზე, ან გამარჯვებაზე, არამედ იმაზე, რომ ახლავე უნდა გადასწყდეს ბედი და ყბედობა რევოლიუციისა. მემარჯვენე ესერებს ეშინიათ შეთანხმებისა და გაიძახიან „ბოლშევიკებს აუცილებლივ დამარცხება ელითო“. თქვენ არ გაშინებთ ის უმანკო სისხლი, ბ-ნო სოციალისტებო, რომელიც ბლომად იღვრება თქვენს ჯიუტობის გამოისად. თქვენ ყველაფერზე ერთი პასუხი გაქვთ „ნუ გეშინიათ“.

„დელო ნაროდა“ მოითხოვს დაუყონებლივ შეთანხმებას:

— კმარა სისხლი და მკვლელობა. დაუყონებლივ ბოლო უნდა მოეღოს ლენინელების აჯანყებას. ყველამ და მათ შორის ლენინელებმა, შეიგნეს ათი ავანტიურისტობის საშინელება.

ჩვენ ვიცით, რომ კერენსკი წინააღმდეგია ყოველივე დაწყნარების. კერენსკი უარყოფს ომს, კერენსკი არ ეძებს ძალას. ძველი მთავრობა დამხობილია და ყველა სოციალისტური პარტია უნდა შეთანხმდეს სოციალისტურ მთავრობის შესადგენად.

ბრძოლა სამოქალაქო ომს!

დაუყონებლივ ჩამოყალიბდეს დემოკრატიული ზავი.

ამხანგო მუშებო, ჯარისკაცებო და მეზღვაურებო! ჩაარქვეთ თქვენი ხიშტები მიწაში!“

„ზნამია ტრუდა“ სწერს.—„კომისართა საბჭო“ ყველაფერს წარმოადგენს. ის ლაშქრის შტაბია, რომელიც კერენსკის ებრძვის, ის ბოლშევიკების ცენტრალი კომიტეტია, ხოლოდ „კომისართა საბჭო“ მთავრობა არ არის.

კომისართა საბჭოს არავითარი შანსები არა აქვს, რომ სახელმწიფოებრივ ძალად იქცეს.

გატჩინოს ბრძოლა არ გადასწყვეტს მთავრობის [illegible] სულ ერთია, ვინც [illegible] ბრძოლის შედეგად ჩვენ ნამდვილ ძალას ვერ ვიხილავთ.

„იზვესტია“ სწერს: მემარცხენე ესერები, მენშევიკები—ინტერნაციონალისტები რკინის გზათა მომუშავენი, ფოსტაში მოსამსახურენი, დარწმუნდენ თუ საით ეზიდებიან მათ კერენსკი და კალედინები. იმ საბედისწერო ბრძოლის დროს მათ მეედგრად უნდა ადიმადლონ თავიანთი ხმა.

„პრავდა“ სწერს. იდეა „კოალიცია“ გენიალური აზრია უკეთესობა ტა პარტიისა, უხალხო პარტიისა. „კოალიცია“ იდეა არის გაკოტრებული და პოლიტიკურად მკვდარი პარტიისა. „კოალიცია“ იდეა არის „მკვდარი სულებისა“.

ომი და ზავი

დეკეშები

სიმშილი კავკასიის ფრონტზე.

ფრონტზე ფქვილი, ბურღული, ქონი, ხორცი და ხორბალი ილევა. ზურგიდან ადარა შემოაქვთ რა. ჯარისკაცები მთელი დღეობით შიშვერვები სხედან, ცხენები შიმშილით იხოცებიან.

რუმინეთი და რუსეთი.

ამას წინად რუმინეთის მთავრობის წარმომადგენლებმა დროებით მთავრობას მიმართეს თხოვნით, რათა რუმინელთა გამოკვების საქმე სრულიად მათ ხელში გადაეცათ. ეხლა რუმინეთის სოციალ-დემოკრატიულა პარტიამ მოწოდება გამოსცა, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ ასეთი შუამდგომლობის წინააღმდეგ და ამბობენ, რომ რუმინეთის ეხლანდელი მინისტრები ხალხის ინტერესებს სწირავენო. მოწოდებაში ჩამოთვლილია მთელი რიგი შემთხვევებისა, როდესაც დემოკრატიისთვის მებრძოლებს სდევნიდნენ ეს მინისტრები. რუსეთ დემოკრატია უნდა უფრთხოდეს, რომ რუსის ხალხის ნაამაგარი რუმინეთის დემოკრატიის ჯალათების ხელში არ ჩავარდეს. მოწოდება მოითხოვს რუმინეთის დემოკრატიის წარმომადგენლებისაგან შემდგარ სასურსათო ორგანიზაციას გადაეცეს გამოკვების საქმე.

ბოლშევიკების დიქტატურა

პეტროგრადი

ირ. წერეთელი.

ირ. წერეთელი მოსკოვში შეთანხმების დღეს ჩასულა. პირველ დღეს იგი და მოსკოვის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ო. მინორი პოდოლსკში ყოფილან. აქ ჯარისკაცთა საბჭოში უთათბირიათ. გიორგობისთვის 6-ს სადამოთი წერეთელი პეტროგრადისკენ გამგზავრებულა.

ახალი მთავრობა და კომისრები.

მთავრობა საბჭოების ხელში არ არის. იგი ლენინმა და ტროცკიმ იგდეს ხელში. ლენინის მიერ დანიშნული კომისრები თანამდებობიდან გადადგნენ.

ჩერნოვი—მინისტრ-თავმჯდომრის კანდიდატად.

მთავრობის შედგენის დასაჩქარებლად საერთო საბჭოს ეროვნული კომიტეტი მინისტრ-თავმჯდომრის კანდიდატად სოციალისტ-რევოლუციონერების ბელადს, ვიქტორ ჩიხელის ძე ჩერნოვს ასახელებს.

საერთო სალაშქრო კომიტეტის მოწოდება.

მოვითხოვთ, რომ ჩვენ საერთო ლაშქრის კომიტეტს დაგვეგვალოს შეუდგეს:—მთელი ლაშქრის სახელით მივმართოთ ყველა სოციალისტურ პარტიებს, რათა შეთანხმების გზით შეგვეგეს დემოკრატიული მთავრობა—შემდეგი პროგრამით: 1) მოსპობილ იქნას სისტემა პოლიტიკური ტერორისა და აღდგენილ იქნას მოქალაქეობრივი თავისუფლება. 2) მოწვეულ იქმას მოკლე ხანში დამფუძნებელი კრება და არჩევნების თავისუფლება არსად არ იქნას შეზღუდული. 3) გადაეცეს მიწა სამიწო კომიტეტებს. 4) დაუყონებლივ შეუდგენ საზავო მოლაპარაკებას.

ბრძოლა გატჩინოში.

გიორგობისთვის 1-ის „ნოვაია ჟიზნი“ გადმოგვცემს ღვინობისთვის 30-ს ღამე მომხდარ ბრძოლამ მრავალი მსხვერპლი შეიწირა. რიცხვი ჯერ არ გამოურკვევიათ, მაგრამ კერენსკის ჯარში უფრო მეტია მოკლული, ვიდრე საბჭოების ჯარში. ღვინობისთვის 30-ს სადამოთი კერენსკიმ შეუთვალა რევოლუციურ ჯარს იარაღი დაჰყარეთო. პირველად სროლა, როგორც სამხედრო-სარევოლიციო კომიტეტის ბიულეტენი გადმოგვცემს, კერენსკის ჯარს დაუწყია. ყაზახების იერიშები წითელ გვარდიელებს, მეზღვაურებს და ჯარის კაცებს მოუგებერებიათ-კერენსკი, რაკი მისი ჯარი დამარცხებულა, ჯავშნიან მატარებლით გაქცეულა. ადნიშნავენ, რომ პულკოვოსთან, ცარსკოე სელოსთან და ალექსანდროვსკაიასთან მოწმდარი სისხლის ღვრა 1914 წელს გალიციაში მოხდარ სისხლის ღვრას ემსგავსებოდა.

ნეიტრალური ჯარი და ჩერნოვი.

ღვინობისთვის 31-ს სრულიად რუსეთის რკინის გზის ფრაქციის თათბირზე შემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებმა განაცხადეს, ჩვენ ცნობა მიგიღეთ, რომ უკან დახეულ კერენსკის ჯარს დახვდნენ ნეიტრალური ჯარები და მოსთხოვეს დემოკრატიასთან შეთანხმება სრულიად რუსეთის რკინის გზის კომიტეტის პლატფორმაზე. ამ ჯარში სხვათა შორის ვიქტორ ჩერნოვიც ყოფილა.

პეტრეპავლეს ციხეში

ბოლშევიკებს პეტრეპავლეს ციხეში სხვათაშორის ჩაუმწყვდევიათ: **კარტაშევი, კოშკინი** და **ბურცევი.** ამ ციხეშივე მოუთავსებიათ ქართველი ინჟენერი ვინმე ახათიანი. ხსენებულ ციხეში სულ 300 კაცი ჩაუმწყვდევიათ. მათ ცარიელ პურზე ამყოფებენ.

კალედინი და კერენსკი

სამხედრო სარევოლუციო კომიტეტს ხელში ჩავარდნია კალედინის დეპეშა. კალედინი ურჩევს ყაზახების გენერალს კერენსკის მხარეზე გადადგომა. ბოლოში კი დამატებია შემდეგ კი იმასაც (კერენსკის შესახებაა ნათქვამი) ავმარგავთო.

მიხეილ ალექსანდრეს ძე რომანოვი

პეტროგრადის ბუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ღვინობისთვის 31-ს სხ ომაზე ზინოვიევს ფთქვამს: „მიხეილ რომანოვი გატჩინოში იყო. იქ შეეცადნენ მის დაპყრობა მაგრამ, ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ეხლა იგი კერენსკის ჯარშია“-ო.

მოსკოვში

ქალაქის გამგეობის გარეშეა

გამოიცა დეკრეტი მოსკოვის ქალაქის გამგეობის დათხოვნის შესახებ. მიუხედავად ამისა ნოემბრის 6 ხმოსნები შეიკრიბნენ, მაგრამ ჯარის კაცებმა დარბაზში არ შეუშვეს. თავმჯდომარე მირონმა შედგინა ოქმი, რათა საშუალება მისცენ მცხოვრებთ შესაფერი მსჯავრი დასდონ ბოლშევიკების საქციელს.

ბურჟუაზიულ გაზეთების გამოსვლა

სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი მურჟუაზიულ გაზეთების გამოსვლის შესახებ. ნოემბრის 8-დან ყველა დახურული

გაზეთები გამოვა, იმ პირობით კი, რომ საბჭოების წინააღმდეგ ხალხის ასანხლერებლად არც ერთ მოწოდებას არ დაბეჭდავენ.

ქალაქის ახალი არჩევნები

გიორგობისთვის 26 დანიშნულია მოსკოვის ქალაქის გამგეობის ახალი არჩევნები.

ქალაქის საბჭოს გარეკვა

ბოლშევიკებმა მოსკოვის ქალაქის საბჭო გარეკეს. საბჭოს წევრებს გადუწყვიტიათ თავ-თავიანთი რწმენებულება არ მოიხსნან.

კიევში

უკრაინელი ბოლშევიკები

კიევი უკრაინელ ბოლშევიკების ხელშია. „საზეგერო - სარევოლუციო კომიტეტის უწყებათა“ უკანასკნელი ნომრით ეცნობა საზეგერო ჯარისკაცთა საბჭოსა, ქალაქის თვითმართველობის და საოლქო). ეს კომიტეტები ერთი მეორეს არ სცნობენ და ერთი მეორეს არ უწყვენ ანგარიშს. ამ კომიტეტების გარდა არსებობს კიდევ კანონიერი მთავრობა.

ოდესაში

ოდესაში მდგომარეობა სერიოზულია. ყველაზე ებრაელთა დარბევას. ეს კარგად შეიგნეს ბოლშევიკებმა და შეიარაღებულ გამოსვლას თავი დაანებეს.

ეკატერინოდარში

მთელი ძალა საზეგერო რევოლუციონერ კომიტეტის ხელში გადავიდა, სადაც ქალაქის წარმომადგენლებიც შევიდნენ.

კალედინის დეპეშა

გიორგობისთვის 7 ხალამოს 11 ს. 16 წ.

ბეტროგრადი, მოსკოვი, ეკატერინეკი, სარატოვი და ცარიცინი ბოლშევიკების ხელშია. მოსკოვში დიდი წინააღმდეგობა გაუწევს ბოლშევიკებს ოფიცრებმა, იუნკრებმა და კადეტებმა, მაგრამ შემდეგ დამარცხდნენ. საარტილერო ცეცხლმა მრავალი შენობა და ისტორიული ძეგლები შეუსრა. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ძარცვა-გლეჯა უსაზღვროდ გაფართოვდა. სმოლენსკში ბრძოლაა. ბოლშევიკებთან დროებით მთავრობის შეკავშირებულად შეთანხმდნენ. ამისათვის ბეტროგრადში დაიწყო საგანგებო თათბირი. თათბირში სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები მონაწილეობენ, ბოლშევიკები შეეკრიბენენ ასპარეზს დასდგომიან, თათბირისაგან ნაყოფს ვერ მოიკლიან. განზრახული აქვთ ბეტროგრადში გიორგობისთვის 10-სათვის სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობა მოიწვიონ. შესაძლოა ამან დამფუძნებელი კრება ჩაშალოს.

გაზეთ „საქართველო“-ს რედაქცია და კონტორა ახალ ბინაზე გადავიდა სასახლეს ქუჩა, № 5, თავადაზნაურობის სახლი, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტთან.

ქრონიკა

თბილისი

← მოქალაქენო! კონვერტები არ დარიგდება სახლებში, მათი მიღება შეიძლება მხოლოდ საარჩევნო დარბაზში შესვლის დროს. საჭიროა ყველა კომისიებში ჩვენი პარტიის წარმომადგენელნი იყვნენ.

← ადგილობრივ მთავრობის საკითხი. საპროფესიო ორგანიზაციათა წარმომადგენლების საგრძნობი კრებაზე ითქვა: თუ ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება ჩაშალეს, მაშინ არჩეულმა კანდიდატებმა უნდა მოაწყონ ადგილობრივი მთავრობაო.

← დამფუძნებელ კრების გარშემ. ამიერ კავკასიის საოლქო საარჩევნო კომისიამ შემდეგი შინაარსის ციტრკულიარით მიმართა საგუბერნიო კომისარებს: სხვა და სხვა კუთხიდან წინადადება მოგვდის, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები გადაიდოს. ხელდველობაში თუ ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ დამფუძნებელი კრება ერთად-ერთი ორგანო იქნება, რომელიც მოქმედების საშუალებას მოუსპობს უფლებისათვის ერთი მეორესთან მებრძოლთ, რომელიც გადასწყვეტს საკითხს ზავისა, მიწის შესახებ, რომელსაც მთელი ხალხი ნდობით მოეპყრობა და მის ყოველივე გადაწყვეტილებას დაემორჩილება, კომისიას გადაწყვეტილი აქვს, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები დანიშნულ დროზე მოხდეს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები დროზე არ მოხერხდა, საოლქო კომისია ჰფიქრობს გამოიყენოს საარჩევნო წესდების § 88 ისე, რომ ხელმეორე არჩევნები გიორგობისათვის 28-ს არ გადასციდეს.

← თავ.-აზ. ქონება. ალმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის წინამძღოლმა უკვე გადასცა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს დადგენილებანი თავად-აზნაურობის ქონების შესახებ.

← სურსათ-სანოვაგე. საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ გიორგობისთვის 9-ს მიიღო 5 ვაგონი კომბოსტო. ფქვილი და ხორბალი სრულებით არ არის. იმავე დღეს ქალაქის სასურსათო კომიტეტმა მიიღო 1 ვაგონი კარტოფილი და 3 ვაგონი ნახშირი. კომიტეტმა ჩრდილო კავკასიაში შეუკვეთა 45 ვაგონი მუშა საქონლის საკვები მასალა.

← ნიხრი და ხიძვირე. ქალაქის სასურსათო კომიტეტში სანიხრო კომისია ფაქტიურად აღარ იმყოფება. ვაჭრებიც ნიხრს ყურს არ ათხოვებენენ, რის გამოც ყოველგვარ სურსათ-სანოვაგეზე საოცრად ასწიეს ფასები; მაგალითად კამეჩის ხორცს გირვანქას ჰყიდიან 1—40 კაპ., თხის ხორცს 1—20 კაპ. 1—60 კაპ. და სხ.

← ქართველთა სამხედრო კავშირის კომიტეტი იწვევს (კომიტეტის ბინაზე) თავისი წევრების, სასანიტარო პერსონალის, გქიმების, გქიმების თანაშემწეებს, ფერშლების, სანიტარების სათნოების დებისა და ძმების და სხვ. მორიგ საკითხთა განსახილველად.

← პრესის მუშაკთა კავშირი. ჟურნალისტებისა და ბეჭდვითი საქმის მუშაკთა კავშირის გამგეობა სთხოვს თბილისისა და პროვინციის ჟურნალისტებს, კორექტორებს და მათ თანაშემწეთ, რედაქციების კანტორის მარაოველთ და მათ თანაშემწეებს გამოცხადდნენ საგანგებო კრებაზე კვირას, გიორგობისთვის 12-ს, დღის 12 საათზე, პრესის ბიუროში (სასახლე), კავშირის წესდების შესავსებლად და რამდენიმე მუხლის შესაცვლელად.

← სამთო-საქიმიო სექციის კრება. დღეს, გიორგობისთვის 10-ს, ხალამოს 8 საათზე დეპუტატთა საკრებულოში, (ფრვილინის ქუჩა № 11), შესდგება სამთო-საქიმიო სექციის კრება. განსახილველია პროგრამა მოქმედებისა და ასარჩევია პრეზიდიუმი. საჭიროა ყველა ამხანაგები, რომელთაც რაიმე საერთო აქვთ სამთო-საქიმიო წარმოებასთან, კრებას დაესწრენ. ხვალ თერთმეტ ნოემბერს იქვე შესდგება საგანგებო შეკრებული კრება საზოგადოების საბჭოსი, სარევიზიო კომისიისა და სექციების წარმომადგენელებისა. განსახილველია საყურადღებო საკითხები.

← კავკ. ხახოფ. სამ. საზოგადოება. გიორგობისთვის 8-ს, ხალამოს, მოხდა საზოგადოების წევრთა კრება. თავმჯდომარეობდა თავ. შ. ა. სუმბათაშვილი. კრებას დაესწრო პროფესორი ზახაროვი, დეკანი თბილისის პოლიტექნიკუმისა, რომელსაც დამსწრე საზოგადოება ალტაკეებით შეხვდა. კრებამ მოისმინა და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისა და საბალნო სკოლის 1916 წლის მოღვაწეობისა და ხარჯების რევიზიას. კრებამ ამასთან ერთად დაავალა იმავე სარევიზიო კომისიას და საბალნო სკოლის საქმეთა კომისიას ერთად დაეჩქარონ შემუშავება პროექტისა ამ სკოლის რეორგანიზაციის შესახებ. კრებამ აგრეთვე საჭიროდ სცნო დაჩქარდეს საზოგადოების წესდების შესწორება დემოკრატიულ ნიადაგზე.

← გაფიცვის გადადება. სტამბების მბეჭდავებმა გადასწყვიტეს გაფიცვა გადასდონ, რათა ხელი არ შეუშალონ დამფუძნებელ კრების არჩევნებს. ელექტროტეხნიკებმა თავიანთ მოთხოვნილების დაკმაყოფილება გადასდვეს დამფუძნებელ კრების დასრულებამდე.

← ხალხის შენახვის გამო. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა სთხოვა ქალაქის თვითმართველობას ასეთნაირ მას 4.655 მანეთი მე-3 პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელში 3 პარალელური კლასის შესანახად. ამ განყოფილებების ხარჯების გასაძღოლად წლიურად საჭიროა 6.738 მანეთი, მაგრამ 2.083 მანეთი სწავლის ფულიდან შეივსება.

← გურული ხორო. თბილისში ჩამოსულა ეროვნულ სამოსელში გამოწყობილი გურული გუნდი ჩაგლეშვილ-სიმონიშვილის ლოტბარობით. ამ დღეებში გუნდი კონცერტებს გამართავს გუნდის გამოწყობის საქმე ნივთიერის მხრივ ნოე სიხარულიძემ იკისრა.

← თავდასხმა. გიორგობისთვის 7-ს ლამის 9 საათზე, თამარის ქუჩაზე, სახ. № 3, შეიარაღებული კაცები, შეუცვიდნენ ვ. არჩვაძეს და ფულები მოსთხოვეს, რადგან ფული არ გამოაჩნდა სახლის პატრონს, ავაზაკებმა მსუბუქად დასჭრეს მისი ცოლი და ვაჟი, შემდეგ გასტეხეს კარადა, გაიტაცეს 3,000 მანეთის ძვირფასი ნივთები და წავიდნენ. ორ ავაზაკს პირბადე ჰქონდათ აფარებული. არჩვაძემ ერთი ავაზაკთაგანი იცნო, ის ყოფილა შოფერად ნამყოფი ვინმე „გიორგი“, რომელიც მკვლელობის და მძარცველობისათვის ციხეში იმყოფებოდა და იქიდან გაიქცა.

← გადმოხვეწილ ხომეხთათვის მზრუნავ მთავარმა საბჭომ წარსულ მკათათვესა და მარიამობისთვეში გადმოხვეწილთა შესანახ ანგარიშში ამ დღეებში გაგზავნა: ერევანს 713.288 მან., განჯას 28.716 მ., ყარსს 93.442 მ. ქარავან-სარაიას 17.800 მ., ბათომს 20.024 მან., ბაქოს 13,993 მან., ვანს 154.189 მან. აზრუმს 42,952 მან. ხოის 57.525 მან. და საზოგადოება „დახმარება“-ს („ნაპასტაშატიც“) გადასცა 187.704 მან., სულ 1.329.716 მანეთი.

← უბნის კრება. პარასკევს, ხალამოს 7 საათზე, მეცხრე უბნის საარჩევნო კომიტეტმა ერთობის უბნის მუშათა კლუბში გამართავს დიდ მიტინგს-ლექციას. სთხოვს ყველა მოქალაქეს აუცილებლივ დაესწრონ ლექციამიტინგს.

ქუთაისი.

← ვაჭარ-მრეწველთა ყრილობა. (დეპეშა ჩვენი კორესპონდენტისა). ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების ყრილობამ დაადგინა გიორგობისთვის 19 ეროვნულ ყრილობაზე თავისი დელეგატები გაგზავნოს და თან დაავალოს მოითხოვონ საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევა. ყრილობამ გადასწყვიტა დამფუძნებელ კრების არჩევნებზე ვაჭარ-მრეწველებმა ხმა მისცენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიას. ყრილობამ უნდა გამოსცეს დეკრეტი საზოგადოებისადმი ქუთაისში მომხდარ დარბევის შესახებ და ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კონფერენცია მოიწვიოს.

← კორძაიას ხასწავლებლის დახვრა. ამას წინად კორძაიას სასწავლებლის მოწაფენი გაიფიცნენ, რადგანაც უკმაყოფილონი იყვნენ მასწავლებლების მოქმედებით. მასწავლებლებსა, მოწაფეთა და გამგეს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების გამოსაძიებელად საგანგებოდ დანიშნა გამომძიებელი კომისია, რომლის მუშაობამაც ვერ მოსპო უთანხმოება. ეხლა გუბერნიის კომისარის გრ. გიორგაძის განკარგულებით ხსენებული სასწავლებელი დიხერა, რათა ამ სასწავლებლის მოწაფეთა მოქმედებას გავლენა არ მოეხდინა სხვა სასწავლებლებზე და მათზეც არ გადასულიყო ეს სენი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

მეათე და მეთორმეტე უბნის

წევრთა და თანამგრძნობთა კრება შესდგა ოთხშაბათს ხალამოს 8 საათზე „ახალ საკრებულოს“ ბინაზე (ყოფილი ხარფუხის კლუბი). თავმჯდომარეობდა დიმ. დუმბაძე, რომელმაც გამარტა დამსწრეთ დამფუძნებელ კრების არჩევნების არსებული კანონები და ილაპარაკა მიმდინარე მომენტის შესახებ. შემდეგ კრებამ დაადგინა პროპაგანდისტთა სკოლის დაარსება, დაბოლოს განხილულ იქმნა საორგანიზაციო საკითხები და მოხდა მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტის წევრთა და საარჩევნო კომისიის არჩევნები.

სურამი.

ეროვნულ დემოკრატიულ ორგანიზაციის დაარსება. ესტატე (ტატო) ლომიძის თავმჯდომარეობით დაარსდა ეროვნულ დემოკრატიული ორგანიზაცია. ჩაწერა შეიძლება ორგანიზაციის ხაზინადართან ყოველდღე.

გორჩალოელთა პროტესტი გადამიჯვნის შესახებ

ე. გეგეჭკორის, ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტისა და აგრედვე ჩვენი რედაქციის სახელზე ტელეგრაფით თბილისში მოვიდა ბორჩალოელთა ხუთმეტი სოფლის შემდეგი პროტესტი გადამიჯვნის წინააღმდეგ:

„ბორჩალოს მაზრის ქვეშის და დუმანისის ოლქში მცხოვრებ ქართველებს, სომხებს და მაჰმადიანებს მეზობლით დაგვატყდა ცნობა იმის შესახებ, ვითომც ალეძრათ საკითხი ბორჩალოს მაზრის ალექსანდროპოლის გუბერნიასთან შესაერთებლად. არც მცხოვრებთ და არც ისტორიას არ ახსოვს, რომ ბორჩალოს მაზრას მეზობლის ქედის იქით მდებარე მხარე ჰმართავდეს. ეს მხარე ნახევარ წელიწადზე მეტი თოვლიან მეზობლის მაღალი ქედით სრულიად მოწყვეტილია ბორჩალოს მაზრას, რომელიც მთელი თავისი არსებით ეკონომიურად და კულტურულად თბილისთან არის შეერთებული. თბილისიდან ბორჩალოს მაზრას რამდენიმე ათასი წელი და ეხლა, რომ მას ჩამოგვაშოროთ, ეს იქნებოდა ჩვენი განიავება. გთხოვთ სამუდამოდ უარჰყოთ ეს აზრი და დღეგანდელ თბილისის გუბერნიის მიწა-წყალზე დაგვტოვოთ.

ქვეშისა და დუმანისის რაიონის 15 სოფლის წარმომადგენლები და მცხოვრებნი:

იაგორ ხელდიმაშვილი,
ყარა-იბრაჰიმ-ოღლი
გეორგ კოჩარიანც,
ალექს ოსკანიანც,
თევდორე მამულაშვილი,
ბეგლარ ენგიბორიანც,
ვასილ პეტრიაშვილი,
დიმიტრი ჭარაშვილი,
გიორგი ფურცელაძე,
გიორგი ფეტვიაშვილი,
არშაკ მიქელიანც და
არშაკ მუსელიანც.

დამფუძნებელ კრების

საარჩევნო წესრიგი („ნაკაზი“ *)

მე-7 თავიხათვის

87, 89 და 90 მუხლებისათვის

125. საარჩევნო ალმნიშვნელი იწოდება ის რიცხვი, რომელიც გამოხატავს ხმების იმ რაოდენობას, რომელიც ამა თუ იმ საარჩევნო ოლქში საკმაოდ ითვლება იმისათვის, რომ კანდიდატი არჩეულ იქმნას დამფუძნებელ კრების წევრად.

126. საარჩევნო ალმნიშვნელი საპოგნელად საჭიროა თვითეულ საკანდიდატო სიაზე მიცემულ ხმების გაყოფაზე—2-ზე, 3-ზე, 4-ზე და ასე მიყოლებით. ამასთან თვითეულ სიაზე მიცემული ხმები იმდენჯერ უნდა გაიყოს, რამდენ პირის არჩევაც განზრახულია ამა თუ იმ ოლქში, ასე ამრიგად. უკანასკნელი გამყოფი უნდა უდრიდეს დამფუძნებელ კრების წევრთა იმ რიცხვს, რომელსაც გზავნის ამა თუ ის ოლქი. თუ რომელიმე გაყოფის შემდეგ ნაწილადი უდრის მთელსა და კიდევ ნახევარს—ამ ნახევარის მაგივრად მთელს ემატება კიდევ მთელი.

ზემოხსენებულ წესით თვითეულ საკანდიდატო სიისათვის მიღებული ნაწევრები უნდა დალაგდეს მკლებელობით რაოდენობით, ე. ი. ჯერ ის ნაწევარი, რომელიც ამა თუ იმ საკანდიდატო სიაზე მიცემულ ხმების გრთზე გაყოფით მივიღეთ, შემდეგ ის ნაწევარი, რომელიც 2-ზე გაყოფით მივიღეთ—შემდეგ 3-ზე და ასე ამრიგად. შემდეგ მთელ ამ ნაწილების რიგებიდან შესდგება ახალი საერთო რიგი. ამ ახალ რიგში შეკვლენ ზემოხსენებულ რიგებში მყოფი ნაწილადები, მკლებელობით რაოდენობით. ახალი რიგის მკლებელობითი რაოდენობით დალაგების დროს არ ეძლევა ყურადღება იმას, თუ რომელ საკანდიდატო სიაზე მიღებული ნაწილადები საარჩევნო ალმნიშვნელად ითვლება ის რიცხვი, რომელსაც უკანასკნელი ალაგი უჭირავს ამ რიგში. იმით კი თუ მერამდენე ალაგი უჭირავს ამ უკანასკნელ რიცხვს ხსენებულ რიგში, ირკვევა ამ ოლქიდან დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნი წევრთა რიცხვი.

127. იმის გასაგებად თუ რამდენი წევრს გაგზავნის თვითეულ საკანდიდატო სია უნდა ავიღოთ თვითეულ სიაზე მიცემული ხმები და გავყოთ საარჩევნო ალმნიშვნელზე. გაყოფის დროს დარჩენილ მცირე ნაშთს ყურადღება არ ეძლევა.

128. თუ რომელიმე რიცხვს, 126 მუხლით ნაჩვენებ საერთო რიგში უჭირავს ის ალაგი, რომელიც უდრის დამფუძნებელ კრების წევრთა იმ რიცხვს რომელიც უნდა აირჩეს და ხსენებულ რიგში ორჯელ უფრო მეტჯერ იმეორება—სიების შორის ალაგების განაწილებაში უპირატესობა ეძლევა იმ სიას, რომელზედაც მეტი ხმაა მიცემული, ხოლო თუ ორ რომელიმე სიაზე თანაბარი ხმებია მიცემული მაშინ საკითხი კენჭის ყრით სწყდება (დებულების 89 მუხლი).

129. თუ ოლქში შეერთებულ სიებზედაც მისცეს ხმა, მაშინ დამფუძნებელ წევრთა განსაზღვრა თვითეულ სიაზე ამ რიგად ხდება: ის სიები რომლებიც შეერთდნენ ითვლებიან ერთ სიათ. ასეთ სიებზე მიცემული ხმები უნდა შეკრთდეს. შემდეგ სწყდება თუ რამდენ რამდენი წევრი უნდა გაგზავნოს თვითეულ სიამ, რომლებიც არ შეერთებულან. დასასრულ, დამფუძნებელ კრების წევრთა ის რიცხვი, რომელიც მიიღეს შეკრთებულ სიებმა—ნაწილდება ცალცალკე მიღებულ ხმების მიხედვით—თანაბრად დებულების 89 და „ნაკაზის“ 126 მუხლისა.

თუ, რომელიმე სია მიიღებს იმაზე მეტს ალაგს, რამდენიც მის მიერ დასახელებულ კანდიდატებისათვის იქნება საჭირო,—ზედმეტი ადგილები მიეცემა იმ სიას რომელიც მასთან შეერთდა ან რომელმაც მეტი ხმები მიიღო; თუ ამ სიას ხვდა რამდენიც კანდიდატი დასახელა—მაშინ ალაგები იმ შემდეგ სიას დაეთმობა, რომელმაც სხვებთან შედარებით მეტი ხმები მიიღო. ამიტომ შეერთებულ სიებს დებულების 90 მუხლი არ შეეხება.

მე 92 ე მუხლისათვის.

130. დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარი კომისიები დამფუძნებელ კრების წევრებს ქვემოდ მოყვანილ სახის მოწმობებს აძლევენ.

შინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე **ტერეშჩენკო.**

იუსტიციის შინისტრი ა. **დემიანოვი.**

საარჩევნო ბარათის ნიმუში.

ვიტებსკის საარჩევნო ოლქი.

№ . . . (უნდა საარჩევნო სიის ნიმუში) (იმ ჯგუფის სახელი, რომელმაც ხელი მოაწერა სიას).

. . . . . .

1) სვენტორჟიეკი, იოსებ პეტრეს ძე. ქ. ვიტებსკი, პეტროგის ქუჩა, № 2.

2) ორ დი, იან იანოვიჩი. ქ. პოლოცკი, სობოროს მოედანი № 5.

3) . . . . . .

4) . . . . . .

5) . . . . . .

6) . . . . . .

7) მანკოვსკი, ლიუდვიგ თეოფილეს ძე. ქ. ნეველი, დიდი ქუჩა საკუთ. სახლი.

8) . . . . . .

9) . . . . . .

შენიშვნა. რუსულ ტექსტიდან ერთად უნდა მოყვანილი იყოს ადგილობრივ ენაზე კანდიდატთა სია (ნაკაზის მე 78 მუხლი).

მე 102 მუხლის მე 2-ე დამატება.

პიროვნების მოწმობის ნიმუში.

პიროვნების მოწმობა დამფუძნებელ კრების არჩევნებზე გამოსაცხადებლად.

საარჩევნო სიისათვის № . . . ქალ. პეტროგრადის (ქალაქის სახელი) ამა და ამ საარჩევნო უბანში. გვარი, სახელი, მამის სახელი . . . . . შემდეგ სრული მისამართი. . . .

. . . . . .

პეტროგრადის (ქალაქის სახელით) ქალაქის გამგეობა გთხოვთ თქვენ მობრძანდეთ: (უნდა აღინიშნოს შენობა, სადაც არჩევნებია დანიშნული და ამ სახლის მისამართი) . . .

. . . . . .

1917 წელს გიორგობისთვის 12-13 დილის 9 საათიდან, ხალამოს 9 საათამდე ან და გიორგობისთვის 14 დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდე დამფუძნებელ კრების წევრთა არჩევნებში ბარათის მისაცემად.

დამფუძნებელ კრების არჩევნების დებულება

73. საარჩევნო ბარათი ამომრჩეველმა პირადად უნდა ჩააგდოს ყუთში.

74. ამომრჩეველმა ბარათი უნდა მისცეს საუბნო კომისიის ერთ-ერთ წევრს, რომელიც საარჩევნო სიაში აღინიშნავს, რომ ამომრჩეველი გამოცხადდა და შემდეგ ბარათის ჩასაგდებად კონვერტს მისცემს. თუ კომისიის წევრს ეჭვი დაებადა შეუძლია ამომრჩეველს პიროვნების საბუთი მოსთხოვოს.

75. კონვერტის მიღების შემდეგ ამომრჩეველი დახურულ ოთახში უნდა გავიდეს (მე 66 მუხ.), სადაც საარჩევნო ბარათი კონვერტში უნდა ჩახდოს. შემდეგ უნდა მივიდეს კომისიის თავმჯდომარესთან, რომელმაც მის თვალ წინ უნდა ჩაუშვას ყუთში კონვერტი.

წესი დამფუძნებელ კრების არჩევნების დებულების გამოყენებისა

114. არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენენ ისეთ პირებს, რომლებმაც თავმჯდომარის აზრით (ან კომისიის დადგენილებით) არჩევნების დღისათვის საარჩევნო უფლება დაკარგეს (დებ. მე-9 მუხ.) ან და თუ საოლქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების დადგენილებით საარჩევნო სიებიდან უნდა ამოირიცხნენ.

116. თუ ხმის მისაცემად გამოცხადდა პირი, რომელიც საარჩევნო სიაში არ არის შეტანილი, ან გუნდ დაებადა კომისიას, რომ წამდვილად ის არის, ვისი გვარიც პიროვნების მოწმობაშია, მაშინ არჩევნების შენობაში შესვლის დროს შემოწმებული უნდა იქნეს მისი პიროვნება, რაც თვით კომისიის მიერ შემუშავებული წესით უნდა ჰხდებოდეს. ამომრჩეველს საშუალება ეძლევა ყველა კანონიერ საშუალებით ცხადყოს თავისი ვინაობა. ოქმში უნდა იქნეს შეტანილი კომისიის დადგენილება, თუ ამომრჩეველს ხმის მიცემის უფლება წაართვა და თანაც აღნიშნული უნდა იქნეს საფუძველი ასეთი დადგენილებისა.

117. იმ მაგივრად, რომელზედაც ყუთი სდგას, ამომრჩეველი ჯერ ჯერობით უახლოვდებიან სასტიკი წესრიგის დაცვით, რისთვისაც უნდა გაამართოს მოაჯირები.

(დასასრული ხვალ)

სასოფლო მილიციის დეგულება

1. კავკასიის სოფლებში საგანგებო სასოფლო მილიცია დაარსდება. მილიციაში 20 კომლზე თითო კაცი ირჩევა. ხოლო თუ რომელიმე სოფელში 60 კომლამდეა იგი 3 კაცს ირჩევს.

შენიშვნა. სოფლის მილიციონერები საგანგებო ნიშნებს ატარებენ.

2. სოფ. მილიციონერები მწერალ-სასროლ იარაღით და სასწრაფოებით უნდა შეიარაღდნენ. იარაღს მიიღებენ თბილისის საარტილერიო საწყობიდან. კავკასიის კომიტეტი ამის გამო საგანგებო ფასს იხდის.

3. მილიციონერებს ხელგაშლილი იარაღი სოფლის საზოგადოებათა დადგენილებით მიეცემათ. დადგენილებებში უნდა აღინიშნებოდეს სოფლის საზოგადოების მიერ არჩეულ მილიციონერების სახელი და გვარები. დადგენილებანი დასამტკიცებლად საზაზრო კომისრებს უნდა წარუდგინონ, შემდეგ საგუბერნიო კომისრის საშუალებით იგზავნება კავკასიის საგანგებო კომიტეტში შუამდგომლობით, რომ იარაღი მიეცეთ.

4. მიცემულ იარაღზე პასუხისმგებლებად სოფლის საზოგადოებანი ხდებიან. კავკასიის საგანგებო კომიტეტის მიერ პირველ მოთხოვნილებისამებრ სოფლის საზოგადოება მოვალეა იარაღი დაიბრუნოს. თვითეულ დაკარგულ თოფზე სოფლის საზოგადოება თოფის ღირებულების გარდა ხაზინის სასარგებლოდ 1500 მანეთს იხდის. ამის გარდა თვით იარაღის დამკარგველი პირი სისხლის საბრალოში მიეცემა. თვითეულ დაკარგულ პატრონაზე დამკარგველი 5 მანეთს იხდის.

5. იარაღს თბილისის საარტილერიო საწყობიდან გუბერნიის კომისრის მიერ დაყენებული კაცი იძლევა.

6. სოფლის მილიცია, რომელიც სოფლის აღმასრულებელ კომიტეტების გამგეების ქვეშე იმყოფება, მაზრის და უბნის კომისრებს ემორჩილება.

7. სოფლის მილიციაში შედიან მხოლოდ სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებული პირები. მილიციონერებად სასამართლოში მიცემული პირები არ აირჩევიან; მათ რაიმე ფიზიკური ნაკლულევანება არ უნდა ჰქონდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. თუ სოფელში არ მოიძებნებიან სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლებული პირები—უნდა ადიძრას შუამდგომლობა, რომ ზოგიერთა სამხედრო ბეგრის მოუხდელ პირებს აღმოიჩინონ შედარებითი ბეგრის მოხდაში და მილიციაში შესვლის უფლება მიანიჭონ.

8. სოფლის მილიციას ევალება თვის რაიონში წესრიგის დაცვა, ყაჩაღების, გაქცეულ დამნაშავეთა და სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედთა შეპყრობა. სოფლის მილიციის ვალია აგრეთვე ყოველ მხრივ დახმარების აღმოჩენა მაზრის მილიციისადმი, როდესაც მათი მოქმედება მიმართულია საზოგადოების დაცვისაკენ.

9. სოფლის მილიციის შინაურ მართველობის, მილიციონერების მოვალეობის და ერთი ერთმანეთ შორის დამოკიდებულების გამომუშავება ევალებათ მაზრის კომისრებს.

10. თუ სამსახურში სოფლის მილიციონერები რამე დანაშაულს ჩაიდენენ სამოქალაქო და სისხლის სამართალში მიეცემიან.

11. თუ დანაშაული არც ისე დიდ დანაშაულად ჩაითვლება, შეიძლება შენიშვნის მიცემით გადასწყდეს.

12. თუ რომელიმე მილიციონერი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს, მისი დათხოვნა შეუძლიან სამაზრო კომისარს.

13. სხვა და სხვა საქმეებს სოფლის მილიციის შესახებ სოფლისა და მაზრის კომისართა გამგეობანი აწარმოებენ.

14. სოფლის მილიციის ხარჯს სოფლის საზოგადოებანი იხდიან.

ლევ ტოლსტოი

(მოგონება)

ამ 7 წლის წინ მივაბარეთ მიწას ლევ ტოლსტოი. მაშინ მოსკოვში ვსწავლობდი. 7 გიორგობისთვეს მოგვივიდა სამწუხარო ცნობა, ტოლსტოი გარდაცვალა ბილის 5 საათზეო. მაშინვე ინსტიტუტში გავმართეთ სტუდენტებმა კრება, პატივი ვეცით განსვენებულის ხსოვნას ფეხზე ადგომით და დავადგინეთ, დავსწრებოდით მის დასაფლავებას. ტოლსტოის ოჯახობას მოკლე დეპეშა გაუგზავნეთ—„ვლოვობთ დაკარგვას ერთად ერთისას“.

10 გიორგობისთვეს სადგურს აეკრებული სტუდენტობა მიაწყდა, მაგრამ ჩვენ მარტო ერთი მატარებელი მოგვცეს, რადგან საიდუმლო ბრძანება გაეცათ, დასაფლავებაზე რაც შეიძლება ნაკლები ხალხი მიუშვითო. მატარებელში ერთი მეოთხედიც ვერ მოჰყვა, დანარჩენები გულდაწყვეტილები მოსკოვში დარჩნენ.

სადგურ ზასეკაზე მოასვენეს მიცვალებული ღუღლოდ. მოხდავებულმა ხალხმა, როგორც ერთმა ადამიანმა, ქუდები მოიხადა და თოფლში ჩაიჩიქა. „საკუთნოდ იყვეს სახსენებელი მისი“, ისმის ხალხის გალობა.

ჩემს გვერდით ტოლსტოის სოფლელები დგანან. მიწას ჩასჩერებიან გახუსახდგერელის მწუხარებით. ალ ესმით, ოღონ მარხავენ ამისთანა წმიდა ადამიანს ღუღლოდ.

— შუხე, შუხე, ეგაია, კუბოზე ჯვარიც კი არის გამოსახული,—ეუბნება ერთი მეორეს.

— სინოდმა ნება არ მისცა,—უსსნის ის.

— რა დაეშავა მერე მაგისთანა ჩვენმა გრაფმა?

— სინოდისთვის მიუწერია, ღვდლებმა ოდა და წვეული უნდა შეიკრიბონ და ჩვენსავით ბიპუნებში იარონო. მეფეს კიდევ მისწერა, კმარა ამდენი უსამართლობა, თავადები მიწა ჩაოართვი და გლეხებს მიეცი, შიმშილით იხოცებიანო.

— მართალი კაცი იყო, მართალი ჩვენი გრაფი,—ჰგოდებენ გლეხები.

ციცვალებული იმ ოთახში დასვენეს, სადაც, როგორც აცვიხსნა იმისმა შვილმა, „ომი და ზავი“ დაწერა განსვენებულმა.

მივედით გამოსათხოვად. ტოლსტოი გსვენია ჩაცმული წალეში და შავ ბალათში. სახეზე საშიხელი ტანჯვა და დალლილობა ეტყეოდა. პირ ჩუბად ბევდევდით ერთი მეორეს და ვეთხოვებოდით იმას, ოაც ამ სამი დღის წინ იყო ტოლსტოი.

...ტყეში, იმ ადგილას, სადაც ტოლსტოის, როგორც ბგვიხსნეს, უყვარდა ბავშვობისა თავის ტოლ-ამხანაგებში თამაშობა, საფლავი იყო გათხრილი. გარს შეიარაღებული ყაზახთა ასეული იდგა „მშვიდობიანობის დასაცველად“.

— ყაზახებს აქ რა უნდათ?—ვეკითხები გლეხს.

— გრაფის პატივსაცემლად არიან გამოგზავნილნი, რაკი უწინ აფიცერი იყო და ომშიც მონაწილეობას იღებდა,—მიხსნის ის.

— რატომ ასაფლავებენ ამ ადგილას?—ვკითხე განგებ,

— ამიტომ რომ ამ ადგილას გრაფს ახალგაზდობისას დათვი მოუკლავსო, მიპასუხა იმან.

მოასვენეს მიცვალებული. ირგვლივ სიწყნარეა. აი ჩასვენეს კუბო საფლავში. გაისმა ქალების ტირილი. ტოლსტოის ასაფლავებენ უსიტყვოდ. ვინ რა უნდა სთქვას ამ არა ჩვეულებრივ ადამიანის ლასაფლავებაზე?

ისმის მიწის ბრახუნი კუბოზე.

— მომეც ნიჩაბი!—გაისმა მოულოდნელად ვიდაცის ხმა და მალე მიწის ბროგვა აღიმართა საფლავზე, სადაც დაჰმარხეს, რაც იყო ტოლსტოი.

ყველანი წავიდნენ. დავრჩი მარტოდ ამ ტყეში და ამ საფლავთან. ფიქრებმა გამიტაცეს. რა აზრია ჩვენი არსებობისა?.. ვცხოვრობთ, ვაზროვნობთ, ვესწრაფვით უკვდავებას და ვაღწევთ სიკვდილს, რომელიც ერთნაირად და სამუდამოდ სპობს პიროვნებას და ადამიანს. მაშ რას უნდა ვესწრაფო წუთისოფელში ერთი წუთით მოვლინებულმა? დღეს ვართ, ვით ღმერთნი, გრძნობა-გონება-ლტოლვით აღვსილნი, მაგრამ დაჰკრავს მოულოდნელად ქუმი და ვიქცევით უგრძნო სხეულად მიწაში მისაბარებლად, იმ მიწაში, რომელზედაც, ვით უკვდავნი, ასე მეღიდურად მივდიოდით.

ერეკლე ლუკაშვილი.

წერილი ახალციხიდან

არც ერთი კუთხე საქართველოსი ისე არ არის მოფიწყვეტილი ქართველი საზოგადოების მიერ, როგორც ახალციხის მხარე. აქაური ქართველობა ღვთის ანაბარათ არის მიგდებული. მათი სურვილის წინააღმდეგ სხვა და სხვა თაღლითობით მათგანს ზოგს ასმობენენ, ზოგს ამაჰმადიანებენ, ზოგს ბარუნებენ და ბრავენ არის, რომ მათ შეგნებაში განამტკიცოს მათი ქართველობის აზრი. თუმცა განმტკიცებაც არ არის საჭირო. საჭიროა მხოლოდ აქაური ქართველები დაიცვან იმ თავდასხმისაგან, რომელსაც ყოველ მხრივ აწარმოებენ მასზე.

ჯერ ხომ ცნობილია ის, რომ ქართველ კათოლიკეებს სომხურ ტიბიკონზე ნათლავდნენ და შემდეგ სომხებად აღიარებდნენ ხოლმე.

არ ახალია ბგრეოდვე ის, რომ ყველგან თუ იხსნებოდა სკოლები, უმეტესად წმინდა რუსული.

ბოლო წლეებში კი ფეხი მოიკიდეს აქ ბაკოელ მაჰმადიანთა ორგანიზაციებმა, რომლებმაც მიზნად დაისახეს გაათურთონ ქართველი მაჰმადიანები.

ამისათვის მათ შორის ფართედ ეწევიან ზეპირ და სიტყვიერ ქადაგებას. ამას გარდა, უფრო კარგ და საიმედო ხერხს მიმართეს. ქართველ მაჰმადიანების გულს ამით იგებენ, რომ თავის კულტურულ საქველმოქმედო საზოგადოებათა განყოფილებებს ხსნიან ქართველ მაჰმადიანებისთვის და აგრეთვე დახმარებას უწევენ სურსათ-სანოვაგის მომარაგებაში.

ჩვენ მხარეს ყველა სომხურ და თათრულ პოლიტიკურ პარტიებს აქვთ თავისი ორგანიზაციები, მხოლოდ ალსად არა სჩანან ქართული პარტიები.

პატროსი გეკითხა, რომ საჭირო დროს დაგვიცვას და დაგვიფაროს უსამართლობისაგან, რათა ისეთი ამბები ადარ მოხდეს, როგორც ეხლა ახალციხის გიმნაზიის ამბავია. აქაური ქართველობის დღეს, რევოლუციის, თავისუფლების ხანაში საშუალება არა გვაქვს ჩვენ შვილებს ქართული ენაც ვასწავლოთ.

ადგილობრივი ვაჟთა გიმნაზია დღეს სავსებით სომხების ხელშია. ნაცადი ფანდების საშუალებით ყველა ქართველი მასწავლებლები: სეოგო დანელია, კოტე მესხი-გვარამაძე, კოტე ავალიშვილი, პურადაშვილი დაითხოვეს. გამოაცხადეს გიმნაზიის ნაციონალიზაცია უნდა მოვახდინოთო და ამისთვის უმცროსი კლასი დაჰხურეს. სომხური გასაყოფილებები მალე გახსნეს, და ქართველებისთვის კი არავინ ზრუნავს. ეხლა მხოლოდ მეხუთე კლასიდან და ასწავლიან ქართულ ენას. საქმე იქამდე მიეყიდა, რომ, თუმცა გიმნაზიის მღვდელი ქართველია, დიმიტრი ხახუტაშვილი, მაგრამ სამღვთო სჯულს ქართველ ბავშვებს რუსულად ასწავლის.

რაც შეეხება ქალების გიმნაზიას, აქ ხომ ქართული ენის ხსენებაც არ არის. ყველა ამას კი ის მოჰყვა, რომ ჩვენ შვილებს ვეღარ ვგზავნით სკოლებში.

როგორც იყო ამ დღეებში ქართველი მოწაფეების გაფიცვის შემდეგ ვაჟთა გიმნაზიაში უკანვე მიიღეს ერთი ქართველი მასწავლებელი, სერგო დანელია.

ასეთი მდგომარეობიდან ერთად ერთი გამოსავალია: თბილისელმა ქართველებმა უნდა ითავონ და დაგვიარსონ ქართული, შერეული, ვაჟთა და ქალთა გიმნაზია. დღეს ეს შესაძლებელია; ქართულ გიმნაზიაში შვილებს გაგზავნიან, როგორც ახალციხელი ქართველები, ისე კიდევ ახლომახლო სოფლებიდან.

შატბერდელი

კორესპონდენცია

გურიიდან

ქ. ოზურგეთი. აქ მოეწყო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაცია. წევრები ხარბად ეწერებიან. ეს ასედაც უნდა იყოს, ვინაიდან თითქმის ყველა მემამულეთა მიწები სულ გლეხებმა შეისყიდეს, ასე რომ სულზე საშუალოდ მოდის 3—5 ქცევამდე ნაჭერი სამოსახლო მიწა ცალკე შემოღობილ-შემოზღუდული. ამ ნაჭერის ერთი კუთხე უჭირავს ეზოს, სადაც არის საცხოვრებელი სახლი, ნალიე (სასიმინდე), ბეღელი, სამზარეულო და შინაური ფრინველთა და ცხოველთა სამყოფი შენობები. დანარჩენი კი უჭირავს საყანეს, საბოსტნეს და სათიბლეს. ყველა თავისთვის შრომობს, თავისით სცხოვრობს. მისთვისაა, რომ გურულებს უყვართ ასეთი გამოთქმა: „საზიარო დღე და დამეც მეზარებაო“. ერთი სიტყვით, გურული მთელი თავის ბუნებით, თავის არსებით კერძო საკუთრების პრინციპის მატარებელია, მისი გამომზატველი, დამცველი და საქმით შემნარჩუნებელი. სიტყვით კი იმათი უმეტესობა, როგორც სოციალისტები სოც.-დემოკრატობით, სოც.-რევოლუციონერობით და სოც.-ფედერალისტობით ვითომ წინააღმდეგნი უნდა იყვნენ მათ არსებაში გამჯდარ კერძო საკუთრებისა, მაგრამ ეს ასე არ არის. ეს გურიის პსევდო-სოციალისტურმა მასამ არ იცის და არც ირჯებიან სინამდვილეს ჩაუკვირდნენ. მაგრამ დადგება დრო, როდესაც გურულებიც გამოერკვევიან პოლიტიკური ბურუსიდან და დაინახავენ თუ რომელი პარტიაა მათი სულისა და გულის აზრთა, ზრახვათა და მისწრაფებათა გამომხატველი. და სწორედ მაშინ დავინახავთ გურულებს თავმოყრილს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დროშის ქვეშ.

განა გურულნი მეტი ნაციონალისტი ვინმე იქნება?! ამათთანა გრძნობიერი ხალხი ნაკლებად იქნება სადმე. მამულის სიყვარულისათვის კი რაა ისე საჭირო და აუცილებელი, როგორც მგრძნობიარობა? და აკი გურულებსაც ძალიან უყვართ თავისი საკუთარი მიწა-წყალი, თავისი ერი—ქართველობა. ესენი სხვა პროვინციელებზედ უფრო ვერ ეგუებიან უცხო ზნე ჩვეულობას, ადათს და კულტურას. უბრალო მაგალითი ამის დასამტკიცებლად: გურულებს რუსები ეჯავრებათ, იმათს ჩვეულებას დედის გინებისათვის მიუჩვევიათ განსაკუთრებით ჯარის კაცად წაყვანილი ჩვენი ბიჭები, რომლებიც უკუდმართ ბედის ტრიალის გამო რუსეთში იხდიდნენ სამხედრო ბეგარას, სულიან უჩვევ ბუნებისაგან დაავადმყოფებისა და იქ ენის უცოდინარობის გაჭირვებას, ათას უბედურებას, როდესაც დედის გინებას უფრო მარჯვედ სწავლობენ, ვიდრე სხვა რამე სასარგებლოს. იგი დასაღუპავები, ძმავ, თურმე რამე სერიოზულ ამბავს რომ გელაპარაკებიან, მაშინაც გზადაგზა დედას გაგინებენო.—ასე დაუჩივლიათ რუსებზე. მაგრამ გასაკვირველი იქნებოდა მათზე გულის აჩხრეკა. ამნაირად გურული ბუნებრივად უკიდურესი ნაციონალისტია, ფორმალურად კი არა, რაიც გამოიხატება თვითარსებობისა და ტერიტორიალურ-ავტონომიის უარის ყოფაში.

მაგრამ წარმავალია ყოველი და იმედი გვაქვს, არც ისეთი უკუღმართი და ზერელე პრაპაგანდით გადაჯერებული გურული დარჩება მარად უარის მყოფელი იმისა, რასაც მის საკუთარ ბუნებას შეადგენს. გურია, როგორც ეკუთვნახვილი, გონიერი და მგრძნობიერი მაღე შესცვლის თავის ძველს შეხედულობას და მაღე მთლად ეროვნულ პარტიას ამოუდგება გვერდში. ეს გვწამს ჩვენ, გვწამს იმიტომ, რომ ამის თვალსაჩინო საბუთსა და მაგალითებსა ვხედავთ!

ს. ვახალიძე.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

კალენდარი

პარასკევი, გიორგობისთვის 10

ქართ. წმ. მოც. ერასტონი, ულუმპია და სხვ. წმ. მოწ. კონსტანტინე ქართ. † 872 ხანენ. წმ. მოწ. დიდ. მთ. მოწ. გიორგისა (ყოველგან გიორგობა).

კათოლ. წმ. ანდრიასი.

სომეხ. ნახატონაკი.

მაჰმად. ჯუმა 7 რიც. საფარა 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომშიშ 9 რ. ქისლევ 5678 წ. ქვეყნ. შექნ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ საფ. № 5, 11,32 დილ.
სამგზ. № 9, 11.28 დილ.
ხაშურ-ბორჯომის. № 19, 3.17 დღ.
„ „ № 17, 8.19 დილ.
ბაქოსაკენ ჩქარ. № 6, 9.51 დილ.
„ საფ. № 4, 8.46 საღ.
საქარასკენ სამგზ. № 4.8, 12.15 საღ.
„ № 61. 8,18 დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანკამდე).
„ № 63.4, 48 ნაშუადღევზე მცხეთამდე.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან სამგზ. № 10, 8.38 დილ.
„ საფ. № 6, 7,41 საღ.
ხაშ.-ბორჯ. სამგზ. № 20, 7.57 დილ.
„ სამგზ. № 18, 9.50 საღ.
ბაქოდან საფ. № 8, 10 26 დილ.
„ ჩქარ. № 5, 10 20 საღ.
ყარს-ჯულფ. საფ. № 3***, 7. 58 დილ.

კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:

სამგზ. № 4, 8.58 დილ.

თბილისში მოდის:

საღამოთი 6.24 წუთ.

კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“-ის

გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 10 დეკემბერს, ქ. თბილისში, დილის 10 საათზე, საზოგადოების ბინაზე დანიშნულია:

წევრთა საზოგადო კრება

განსახილველია:

1) წევრთა სიის გადასინჯვა წესდების მე-17 და მე-21 მ. მიხედვით.

2) განხილვა და დამტკიცება 1916/17 წ. ანგარიშისა და მოხსენებები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

3) განხილვა და დამტკიცება 1917/18 წ. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვისა.

4) **არჩევნები:** ა) გამგეობის თავმჯდომარის თ. ლ. ა. ვაჩნაძის და გამ. წევრი თ. ი. ი. ჯანდიერის მაგიერ, რომელნიც თავს ანებებენ სამსახურის ვადის გასვლამდის. ბ) გამ. წევრის გ. მაჭავარიანის—რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა და გ) ორი წევრის სარევიზიო კომისიისას.

5) მიმდინარე საქმეები. (1—875—1)

პ უ რ ი

(ნაწილობრივი ბარათები პურის მისაღებად)

გიორგობისთვის 8-დან დაიწყო პურის ჩვეულებრივი ბარათების ნაწილობრივი ბარათებზე გაცვლა.

რესტორანებში და სასადილოებში ნოსადილები პურის ნაწილობრივ ბარათებს ბილიებენ როგორც საუბნო სასურსათო კომიტეტებში აგრეედვე პურის განყოფილებაში; სამაგიეროდ უნდა ჩაბარონ პურის ბარათების წიგნაკები, რომელიც მათ აქვთ ხელზე.

ის პირნი, რომელნიც პურის საგრთო ბარათში არიან შეტანილნი შეიძლება გამოეყვნენ თავის სურვილისამებრ.

3—833—2 **ქალაქის სასურსათო კომიტეტი.**

დამფუძნებელ კრების არჩევნები

თბილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს ქ. თბილისის მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ არჩევნები გიორგობისთვის 12-სა და 13-ს მოხდება დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდის, ხოლო გიორგობისთვის 14-ს—დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ქალაქის გამგეობა აცხადებს ძირითად და დამატებით სიებში შეტანილ ამომრჩეველთა საყურადღებოდ, რომ საქალაქო კომისია უკვე შეუდგა **ამომრჩეველთა პიროვნების მოწმობებს** დარიგებას და თუ რაიმე მიზეზით ვისმეს ხსენებული მოწმობა არ მიუღია, მიმართონ მის მისადებად გიორგობისთვის 11-ში ქალაქის კომისიას. გოლოვინის პროსპექტი № 11. საფარიანცის მაღაზია. არჩევნების დღეს ხსენებულ მოწმობების მიღება შეიძლება საარჩევნო უბნებშიც.

თბილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს ქალ. თბილისის **უბანში** მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ მათ სმა **მუშათა** მისცენ (ერთობის უბანში, ანტონიფის ქუჩის კუთხე) და არა **მე-3 საარჩევნო კლუბში** უნდა კუკიის სასაფლაოსთან არსებულ მართლმადიდებელთა ეკლესიის სკოლაში, პიატიგორსკის ქუჩაზე. 3—832—2

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ საშეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ. ამ დროს განმაცალობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

თ ბ ი ლ ი ს ი ს

პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრთა ჩაწერვა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე ბეგეშკორთან.

მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერვა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტუჩკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრთა ჩაწერვა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მოსმრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან გ. ყიფიანთან.

მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერვა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე **ახალ** საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დრეიბით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

Г. ГВАЗАВА

грузія

съ точки зрѣнія

МЕЖДУНАРОДНАГО ПРАВА

გამოიცა და ისყიდება საქ. ეროვ. დემ. პარტიის ბიუროში.

10—3

ამიერ-კავკასიის ბანკი

(თბილისი, ფონტის-მეღელოვის ქუჩა № 5)

იჯარდება

ბაქოში დაარსებულ ძარცულ ნავთის სამრეწველო-საკაცეთნერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, ციხეზე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ეთროონცოვის ქ. № 4. თ—766—32

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ლებულობს ავადმყოფებს ხად. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებობა, ნერვებით აშლილობა, სიფილისიანთ და ხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და ს.ხ. მიხამართა: ფანანურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

44—748—თ.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირასი საღამოს 5-დან 7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 41 ტელეფონის № 14—09

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ სახ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77. თ—19

ქბილის ექიმმა

მამულაიშვილი-ხოდნევისამ

გაანაახლა

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლდის ქუჩა, № 22.

25—823—21

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეიოის პროსპექტი № 116.

დოკტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის მე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.